



# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება: ბ92.92221363

თარიღი: 16/05/2022

## მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით ა(ა)ი.პ „ლაგოდეხის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი“-სთვის გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“, და „დ.დ“ ქვეპუნქტების, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის, "მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669-ე დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 მაისის Nგ-93.93221262 განკარგულების შესაბამისად

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

**მუხლი 1.** გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილი, მდებარე ქ. ლაგოდეხი, ქიზიყის ქუჩა N25-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული -47,68 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი 54.01.54.032.01.505) ა(ა)ი.პ „ლაგოდეხის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო კოდი -433109192) -2 (ორი) წლის ვადით.

*საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "ეკონომიკის სამსახურის უფროსის" ა/წლის 10 მაისის N 06-922213068 მოხსენებითი ბარათი/.*

**მუხლი 2.** ამ ბრძანების ფარგლებში, ხელშეკრულების სამართლებრივი ფორმის მომზადება დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურს“, ხოლო ხელშეკრულების გაფორმება და მასზე კონტროლის განხორციელება - „ეკონომიკის სამსახურს“;

**მუხლი 3.** ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;

**მუხლი 4.** ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

